



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 11.12.2020 წლის N097/20¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ მიქავა (სტუდენტი)

ფაქტები

2020 წლის 20 ნოემბერს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივარი დაფიქსირდა ადვოკატის წინააღმდეგ. საჩივრის ავტორი პროფესიით თავადაც ადვოკატია, რომელმაც განმარტა, რომ საჩივრის ადრესატმა 2020 წლის 10 აგვისტოს მიმართა ეთიკის კომისიას, მის წინააღმდეგ წარადგინა საჩივარი კოლეგიალობის ვალდებულების დარღვევის გამო და კომისიისგან მოითხოვა შეაფასოს რამედნად აქვს ადვოკატს უფლება ყველა გზით დაიცვას კლიენტის ინტერესი. საჩივრის ავტორის მითითებით, ადვოკატმა ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანით დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი. ამ საჩივრით ადვოკატმა მომჩივანზე აღნიშნა, რომ მას დავის მსვლელობისას ამომძრავებდა „მერკანტილური მიზანი-კონკრეტული საქმის გამოყენება საკუთარი ცნობადობის გაზრდის მიზნით, პიარ კამპანიისთვის“. აგრეთვე, საჩივრის განხილვის სხდომაზე გააჟღერა ისეთი ფრაზა, რაც მას არ უთქვამს. კერძოდ, „ვარიგებთ მას, რომ თავი მოიგიჟიანოს“. ადვოკატმა აღნიშნა, რომ მომჩივანი მოგონილი ბრალდებებით ხელს უშლის გამოძიებას. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ეთიკის კომისიას მიაწოდა ცრუ ინფორმაცია მისი საქმეში ჩართვის თარიღთან დაკავშირებით და მას ადანაშაულებს არაკვალიფიციურობაში, როდესაც უთითებს, რომ თითქოს მან პრესკონფერენცია ისე გამართა, რომ არ იცნობდა საქმის მასალებს და ბრალდებულს. აღნიშნულზე ადვოკატმა მიუთითა, რომ ეს ინფორმაცია პროცესის მწარმოებელი პირისგან მიიღო, რაც არ გამორიცხავს, რომ საქმე შესაძლოა სხვაგვარად იყოს. ადვოკატის აზრით, საჩივარი თავისი შინაარსით წარმოადგენს პასუხს მის 2020 წლის 10 აგვისტოს საჩივარზე და არა დამოუკიდებელ საჩივარს. თავდაპირველად, საჩივრით მომჩივანმა მოითხოვა ადვოკატმა განმარტოს საიდან მოიპოვა მან 2020 წლის 29 ოქტომბრის სანოტარო განცხადება ისე, რომ მას როგორც ადვოკატს ამაზე ინფორმაცია არ ჰქონდა, ხოლო 2020 წლის 11 დეკემბრის სდომაზე საჩივრის ავტორის დამატებითი ინფორმაციით, კლიენტმა განუმარტა, რომ დაუკავშირდა ბრალდებულის დედა, რომელსაც მისცა ეს დოკუმენტები. საჩივრის ადრესატმა მიუთითა, რომ სანოტარო დოკუმენტები მას თავისმა კლიენტმა გადასცა.

პროცესუალური ისტორია

საჩივრის ავტორმა მიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატის დისციპლინირება.

სამართლებრივი შეფასება

კოლეგიამ ადვოკატის ქმედება შეაფასა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 7, 10.1, 10.4 მუხლებთან შესაბამისობაში.

კოლეგიალობის პრინციპი (მუხლი 7, 10.1)

კოლეგიალობის პრინციპი ავალდებულებს ადვოკატს დაიცვას პროფესიული ღირებულებები. პატივი სცეს მის კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და იმოქმედოს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. კოლეგიალობა მდგომარეობს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს შორის საერთო საქმიანობის არსებობაში. როდესაც კოლეგები საერთო მიზნისკენ ისწრაფვიან, მათ პატივი უნდა

¹ <https://qba.ge/pdf/62176c827bd8d.pdf/097-20,%20ar%20agdzvra,%2011.12.20.pdf>

სცენ ერთმანეთის პროფესიული განვითარების შესაძლებლობას. აგრეთვე ადვოკატები, როგორც სხვა მოქალაქეები სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა აღსანიშნავია, რომ პროფესიული ვალდებულებები მათ ჩვეულებრივ მოქალაქეებზე მეტად ზღუდავენ. ადვოკატის საქმიანობა საკმაოდ რთული და კომპლექსურია. ამ პროფესიის ადამიანები ხშირად ხდებიან დიდი საზოგადო ინტერესისა და კრიტიკის ობიექტები. სწორედ ამიტომ ადვოკატი ვალდებულია მისი მისამართით გაქვრებული ნებისმიერი სახის კრიტიკა/კომენტარი ობიექტურობის ფარგლებში ითმინოს. ამავდროულად, საქმისწარმოებისას თვითონაც პატივი უნდა სცეს კოლეგა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესებს. მნიშვნელოვანია, რომ დაცვის პროცესში რომელიმე მათგანს არ მიაცენოს შეურაცხყოფა. ადვოკატი თავის პოზიციას ამყარებს მოსაზრებით, რომ მომჩივანმა კონკრეტული საქმე გამოიყენა პირადი მიზნებისთვის - ცნობადობის გაზრდისათვის. ადვოკატის მითითება, შეაფასოს კომისიამ კონკრეტული გარემოებები, ჩამოყალიბებული იმ ფორმით, როგორც 2020 წლის 10 აგვისტოს საჩივარშია, არ წარმოადგენს კოლეგიალობის დარღვევას, რადგან ადვოკატის მიზანია საკითხის გამოკვლევა კონფიდენციალური წარმოების ფარგლებში, დახურულ სხდომაზე, კოლეგიალურ ორგანოში. შესაბამისად, 2020 წლის 10 აგვისტოს საჩივარში გამოყენებული ფრაზები შეესაბამება გამოხატვის თავისუფლებით დადგენილ სტანდარტს.

ურთიერთობა ადვოკატსა და სხვა ადვოკატს შორის (მუხლი 10.4)

ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატისთვის შეუტყობინებლად, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოადგენილია ადვოკატით და ადვოკატთან დაკავშირება ობიექტურობის ფარგლებში შესაძლებელია. მომჩივნის მითითებით, ადვოკატისთვის არ იყო ცნობილი სანოტარო განცხადების არსებობის შესახებ. ადვოკატმა განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტი მისმა კლიენტმა გადასცა. დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ვერ დგინდება, რომ ადვოკატმა აღნიშნული დოკუმენტაცია მომჩივნისთვის გვერდის ავლით მოიპოვა. შესაბამისად, არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატის წინააღმდეგ.

დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა, რადგან არ დადასტურდა ადვოკატის მხრიდან კოლეგიალობის პრინციპისა და მოწინააღმდეგე მხარესთან ადვოკატის გვერდის ავლით კომუნიკაციის დაუშვებლობის ეთიკური ვალდებულებების (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 7, 10.1, 10.4 მუხლების) დარღვევა.